პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტური განათლება

სსსრ განათლების სახალხო კომისარიატის, თბილისის განათლების განყოფილების, დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის და უმაღლესი სკოლებისა და სკოლამდელთა აღზრდის მუშაკთა კავშირების ცენტრალურ გამგეობათა ორგანო

12 დეკემბერი, 1937 წ. № 116 (416) ||| ფასი 10 კაპ.

ყველანი არჩევნებზე!

## მთელი საბჭოთა ქვეყნის დიდი კანდიდატი




# ამხანაგ ი. ბ. სტალინის სიტყვა

## ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1937 წლის 11 დეკემბერს დიდ თეატრში

**თავმჯდომარე. სიტყვა ეძლევა ჩვენს კანდიდატს ამხანაგ სტალინს. ამხანაგ სტალინის გამოჩენას ტრიბუნაზე ამომრჩევლები ხვდებიან მქუხარე ოვაციით, რომელიც რამდენიმე წუთის განმავლობაში გრძელდება. დიდი თეატრის მთელი დარბაზი ფეხზე ამდგარი მიესალმება ამხანაგ სტალინს. დარბაზიდან განუწყვეტლივ გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ სტალინს, ვაშა!“, „მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული საბჭოთა კონსტიტუციის შემოქმედს ამხანაგ სტალინს, ვაშა!“, „გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს ჩაგრულთა ბელადს, ამხანაგ სტალინს, ვაშა!“.**

სტალინი. ამხანაგებო, უნდა გამოგიტყდეთ, მე არ მქონდა განზრახვა გამოვსულიყავი. მაგრამ ჩვენმა პატივცემულმა ნიკიტა სერგეის-ძემ, შეიძლება ითქვას, ძალით მომიყვანა აქ, კრებაზე: გვითხარი კარგი სიტყვაო. რაზე ვთქვა, სახელდობრ რა სიტყვა? ყველაფერი, რისი თქმაც საჭირო იყო არჩევნების წინ, უკვე არაერთხელ არის ნათქვამი ჩვენი ხელმძღვანელი ამხანაგების კალინინის, მოლოტოვის, ვოროშილოვის, კაგანოვიჩის, ეჟოვის და მრავალი სხვა პასუხისმგებელი ამხანაგის სიტყვებში. რა შეიძლება კიდევ დაემატოს ამ სიტყვებს?

ამბობენ, საჭიროა განმარტებანი საარჩევნო კამპანიის ზოგიერთ საკითხზეო. რა განმარტებანი, რა საკითხებზე? ყოველივე ის, რისი განმარტებაც საჭირო იყო, უკვე არაერთხელ არის განმარტებული ბოლშევიკთა პარტიის, კომკავშირის, პროფესიულ კავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს, თავდაცვა-ავიაქიმის, ფიზკულტურის საქმეთა კომიტეტის ცნობილ მიმართვებში. რა შეიძლება კიდევ დაემატოს ამ განმარტებებს?

რასაკვირველია, შეიძლებოდა თქმულიყო ერთგვარი მსუბუქი სიტყვა ყველაფერზე და არაფერზე (**ნელი სიცილი**). შესაძლოა, რომ ასეთი სიტყვა გაართობდა საზოგადოებას. ამბობენ, რომ ასეთი სიტყვების ოსტატები მოიპოებიან არა მარტო იქ, კაპიტალისტურ ქვეყნებში, არამედ ჩვენშიაც, საბჭოთა ქვეყანაში (**სიცილი, ტაში**). მაგრამ ჯერ ერთი, მე არა ვარ ასეთი სიტყვების ოსტატი. მეორე, განა ღირს გასართობ საქმეებს მივყოთ ხელი ახლა, როდესაც ჩვენ ყველას, ბოლშევიკებს, როგორც იტყვიან, „მუშაობა თავზე საყრელი გვაქვს“. მე ვფიქრობ, რომ არა ღირს.

ცხადია, რომ ასეთ პირობებში კარგ სიტყვას ვერ იტყვი.

და მაინც რაკი მე ტრიბუნაზე გამოვედი, რასაკვირველია, მიხდება ასე თუ ისე ვთქვა ცოტა რამ მაინც. (**მქუხარე ტაში**).

უწინარეს ყოვლისა მე მინდოდა მადლობა გადამეხადა (**ტაში**) ამომრჩევლებისათვის იმ ნდობისათვის, რომელიც მათ გამოიჩინეს (**ტაში**).

მე დამასახელეს დეპუტატობის კანდიდატად და საბჭოთა დედაქალაქის სტალინის ოლქის საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გამატარა მე, როგორც დეპუტატობის კანდიდატი. ეს, ამხანაგებო, დიდი ნდობაა. ნება მიბოძეთ დიდი ბოლშევიკური მადლობა გადაგიხადოთ იმ ნდობისათვის, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ ბოლშევიკთა პარტიისადმი, რომლის წევრიც მე ვარ, და პირადად ჩემდამი, როგორც ამ პარტიის წარმომადგენლისადმი (**მქუხარე ტაში**).

მე ვიცი, რას ნიშნავს ნდობა. იგი, ცხადია, მაკისრებს ახალ, დამატებით მოვალეობებს და, მაშასადამე, ახალ, დამატებით პასუხისმგებლობას. რა გაეწყობა, ჩვენ, ბოლშევიკებს, არ გვჩვევია უარი ვთქვათ პასუხისმგებლობაზე. მე მას ხალისით ვკისრულობ (**მქუხარე ხანგრძლივი ტაში**).

ჩემი მხრით მე მინდა დაგარწმუნოთ თქვენ, ამხანაგებო, რომ თამამად შეგიძლიათ ენდოთ ამხანაგ სტალინს (**მქუხარე ხანგრძლივი ოვაცია. შეძახილები დარბაზიდან: „ჩვენ კი ყველანი ამხანაგ სტალინთან ვართ!“**). შეგიძლიათ იქონიოთ იმის იმედი, რომ ამხანაგი სტალინი შესძლებს შეასრულოს თავისი მოვალეობა ხალხის წინაშე (**ტაში**), მუშათა კლასის წინაშე (**ტაში**), გლეხობის წინაშე (**ტაში**), ინტელიგენციის წინაშე (**ტაში**).

შემდეგ, მე მინდა, ამხანაგებო, მოგილოცოთ მომავალი საყოველთაო-სახალხო დღესასწაული, საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დღე (**ძლიერი ტაში**). მომავალი არჩევნები — ეს უბრალო არჩევნები როდია, ამხანაგებო. ეს მართლაც ჩვენი მუშების, ჩვენი გლეხების, ჩვენი ინტელიგენციის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულია (**მქუხარე ტაში**). ჯერ არასოდეს არ ყოფილა მსოფლიოში ასეთი ნამდვილად თავისუფალი და ნამდვილად დემოკრატიული არჩევნები, არასოდეს! ისტორიამ არ იცის მეორე ასეთი მაგალითი (**ტაში**). ლაპარაკია არა იმაზე, რომ ჩვენ გვექნება საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პირდაპირი არჩევნები, თუმცა ესეც ამას თავისთავად დიდი მნიშვნელობა აქვს. ლაპარაკია იმაზე, რომ საყოველთაო არჩევნები ჩვენში ჩატარდება როგორც ყველაზე უფრო თავისუფალი არჩევნები და ყველაზე უფრო დემოკრატიული, მსოფლიოში სხვა რომელიმე ქვეყნის არჩევნებთან შედარებით.

საყოველთაო არჩევნები ტარდება და მათ ადგილი აქვს ზოგიერთ კაპიტალისტურ, ეგრეთწოდებულ, დემოკრატიულ ქვეყნებშიც. მაგრამ რა ვითარებაში ტარდება იქ არჩევნები? კლასობრივი შეტაკებათა ვითარებაში, კლასობრივი შუღლის ვითარებაში, კაპიტალისტების, მემამულეების, ბანკირებისა და კაპიტალიზმის სხვა ზვიგენების მხრით ამომრჩევლების მიმართ დაწოლის ვითარებაში. ასეთ არჩევნებს, თუნდაც რომ კიდეც საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პირდაპირი იყოს, არ შეიძლება ეწოდოს სავსებით თავისუფალი და სავსებით დემოკრატიული არჩევნები.

ჩვენთან, ჩვენს ქვეყანაში, პირიქით, არჩევნები ტარდება სულ სხვა ვითარებაში. ჩვენში არ არიან კაპიტალისტები, არ არიან მემამულეები, მაშასადამე, არც მქონებელი

(დასასრული იხ. მე-2 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ამხანაგ ი. ბ. სტალინის სიტყვა

## ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1937 წლის 11 დეკემბერს დიდ თეატრში

### დასასრული

კლასების ზემოქმედება არის უქონლებზე. ჩვენთან არჩევნები ტარდება მუშების, გლეხების, ინტელიგენციის თანამშრომლობის ვითარებაში, მათი ურთიერთნდობის ვითარებაში, მე ვიტყოდი, ურთიერთმეგობრობის ვითარებაში, იმიტომ რომ ჩვენში არ არიან კაპიტალისტები, არ არიან მემამულეები, არ არის ექსპლოატაცია და კაცმა რომ სთქვას, არავინ არის, ვისაც შეეძლოს ზემოქმედების მოხდენა ხალხზე მისი ნებისყოფის დასამახინჯებლად.

აი რატომ არის ჩვენი არჩევნები ერთადერთი ნამდვილად თავისუფალი და ნამდვილად დემოკრატიული მთელს მსოფლიოში (ძლიერი ტაში).

ასეთი თავისუფალი და ნამდვილად დემოკრატიული არჩევნები შეიძლებოდა აღმოცენებულიყო მხოლოდ სოციალისტური წესწყობილების გამარჯვების ნიადაგზე, მხოლოდ იმის ბაზაზე, რომ ჩვენში სოციალიზმი არა მხოლოდ შენდება, არამედ უკვე დამკვიდრდა ყოფაცხოვრებაში, ხალხის ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაში. 10 წლის წინათ შეიძლებოდა დისკუსია იმაზე, შეიძლება თუ არა ჩვენში სოციალიზმის შენება. ახლა ეს აღარ არის სადისკუსიო საკითხი. ახლა ეს არის ფაქტების საკითხი, ცოცხალი ცხოვრების საკითხი, ყოფაცხოვრების საკითხი, რომლითაც გამსჭვალულია ხალხის მთელი ცხოვრება. ჩვენს ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშაობენ უკაპიტალისტებოდ. მუშაობას ხელმძღვანელობენ ხალხიდან გამოსული ადამიანები. სწორედ ამას უწოდებენ ჩვენში ნამდვილ სოციალიზმს. ჩვენს მინდვრებში მიწის მუშაკები მუშაობენ უმემამულეებოდ, უკულაკებოდ. მუშაობას ხელმძღვანელობენ ხალხიდან გამოსული ადამიანები. სწორედ ამას უწოდებენ ჩვენში სოციალიზმს ყოფაცხოვრებაში. სწორედ ამას უწოდებენ ჩვენში თავისუფალ, სოციალისტურ ცხოვრებას.

აი ამ ბაზაზე აღმოცენდა სწორედ ჩვენში ახალი, ნამდვილად თავისუფალი და ნამდვილად დემოკრატიული არჩევნები, არჩევნები, რომლის მაგალითი არ არის კაცობრიობის ისტორიაში.

როგორ არ უნდა მოგილოცოთ ამის შემდეგ საყოველთაო-სახალხო ზეიმის დღე, საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დღე! (მთელი დარბაზის მქუხარე ოვაცია).

შემდეგ, ამხანაგებო, მე მინდა მოგცეთ თქვენ რჩევა, დეპუტატობის კანდიდატის რჩევა თავისი ამომრჩევლებისადმი. თუ ავიღებთ კაპიტალისტურ ქვეყნებს, იქ დეპუტატებსა და ამომრჩევლებს შორის არსებობს ერთგვარი თავისებური, მე ვიტყოდი, საკმაოდ უცნაური ურთიერთობა. სანამ არჩევნები მიმდინარეობს, დეპუტატები ელაციცებიან ამომრჩევლებს, ელაქუცებიან, მათ, ეფიცებიან ერთგულებას, აძლევენ ათასგვარ დაპირებას. გამოდის, რომ დეპუტატები სავსებით დამოკიდებული არიან ამომრჩევლებზე. როგორც კი არჩევნები დამთავრდა და კანდიდატები დეპუტატებად გადაიქცნენ, ურთიერთობა ძირფესვიანად იცვლება. ამომრჩევლებზე დეპუტატების დამოკიდებულების ნაცვლად გამოდის მათი სრული დამოუკიდებლობა. 4 თუ 5 წლის მანძილზე, ე. ი. ახალ არჩევნებამდე, დეპუტატი თავს გრძნობს თავს, რომ იგი არის სრულიად თავისუფალი, ხალხისაგან, თავისი ამომრჩევლებისაგან დამოუკიდებელი. მას შეუძლია გადავიდეს ერთი ბანაკიდან მეორეში, მას შეუძლია გადაუხვიოს სწორი გზიდან არასწორზე, მას შეუძლია გაებას ზოგიერთ არა მთლად საკადრისი ხასიათის მახინაციებშიც კი, მას შეუძლია ყირაზე გადავიდეს, როგორც მას ნებავს, — იგი დამოუკიდებელია.

შეიძლება თუ არა ნორმალურად ჩაითვალოს ასეთი ურთიერთობა? არავითარ შემთხვევაში, ამხანაგებო. ეს გარემოება გაითვალისწინა ჩვენმა კონსტიტუციამ და მან გაატარა კანონი, რომლის ძალით ამომრჩევლებს უფლება აქვთ ვადამდე გაიწვიონ უკან თავისი დეპუტატები, თუ ისინი იწყებენ მელაკუდაობას, თუ ისინი უხვევენ გზიდან, თუ მათ ავიწყდებათ თავისი დამოკიდებულება ხალხისაგან, ამომრჩევლებისაგან.

ეს შესანიშნავი კანონია, ამხანაგებო. დეპუტატმა უნდა იცოდეს, რომ იგი არის ხალხის მსახური, მის მიერ წარგზავნილი უზენაეს საბჭოში და იგი უნდა გაჰყვეს იმ ხაზს, რომელზედაც მას მიცემული აქვს განაწესი ხალხის მიერ. თუ გზას გადაუხვია, ამომრჩევლებს უფლება აქვთ მოითხოვონ ახალი არჩევნების დანიშვნა, და მათ უფლება აქვთ ის დეპუტატი, რომელმაც გზას გადაუხვია, ყორანივით გააშავონ (სიცილი, ტაში). ეს შესანიშნავი კანონია. ჩემი რჩევა, დეპუტატობის კანდიდატის რჩევაა ჩემი ამომრჩევლებისადმი, ახსოვდეთ ამომრჩეველთა ეს უფლება, — დეპუტატთა ვადამდე უკან გაწვევის უფლება, თვალყური ადევნონ თავის დეპუტატებს, კონტროლი გაუწიონ მათ და, თუ ისინი განიზრახავენ სწორი გზიდან გადახვევას, თავიდან მოიშორონ ისინი, მოითხოვონ ახალი არჩევნების დანიშვნა. მთავრობა ვალდებულია დანიშნოს ახალი არჩევნები. ჩემი რჩევაა — გახსოვდეთ ეს კანონი და გამოიყენოთ იგი საჭიროების შემთხვევაში.

დასასრულ, დეპუტატობის კანდიდატის კიდევ ერთი რჩევა თავის ამომრჩევლებისადმი. საერთოდ რა უნდა მოვთხოვოთ ჩვენს დეპუტატებს, თუ ყველა შესაძლო მოთხოვნიდან ავიღებთ ყველაზე ელემენტარულ მოთხოვნებს?

ამომრჩევლებმა, ხალხმა თავის დეპუტატებს უნდა მოსთხოვონ, რომ ისინი დარჩნენ თავიანთი ამოცანების სიმაღლეზე, რომ ისინი თავის მუშაობაში არ დაეშვნენ პოლიტიკური ობივატელების დონემდე, რომ ისინი დარჩნენ ლენინის ტიპის პოლიტიკურ მოღვაწეთა პოსტზე, რომ ისინი იყვნენ ისეთივე ნათელი და გამორკვეული მოღვაწეები, როგორც ლენინი (ტაში), რომ ისინი იყვნენ ისეთივე უშიშარნი ბრძოლაში და შეუბრალებელნი ხალხის მტრების მიმართ, როგორიც იყო ლენინი (ტაში), რომ ისინი იყვნენ თავისუფალნი ყოველგვარი, პანიკისაგან, პანიკის ყოველგვარი ნასახისაგან, როდესაც საქმე გართულებას იწყებს და ჰორიზონტზე ისახება რაიმე საფრთხე, რომ ისინი იყვნენ ისევე თავისუფალნი პანიკის ყოველგვარი ნასახისაგან, როგორც თავისუფალი იყო ლენინი (ტაში), რომ ისინი იყვნენ ისევე ბრძენი და აუჩქარებელნი რთულ საკითხების გადაჭრის დროს, სადაც საჭიროა ყოველმხრივი ორიენტაცია და ყველა პლუსისა და მინუსის ყოველმხრივ გათვალისწინება, როგორიც იყო ლენინი (ტაში), რომ ისინი იყვნენ ისევე მართალნი და პატიოსანნი, როგორიც იყო ლენინი (ტაში), რომ მათ ისევე უყვარდეთ თავისი ხალხი, როგორც უყვარდა იგი ლენინს (ტაში).

შეგვიძლია თუ არა ჩვენ ვთქვათ, რომ დეპუტატობის ყველა კანდიდატი სწორედ ამგვარი მოღვაწეა? მე ამას ვერ ვიტყოდი. ათასნაირი ადამიანია ამ ქვეყნად, ათასნაირი მოღვაწეა ამ ქვეყნად. არიან ადამიანები, რომლებზედაც ვერ იტყვი, ვინ არის იგი, კარგია თუ ავი, მამაცია თუ მხდალი, ბოლომდე ხალხის მხარეზეა თუ ხალხის მტრების მხარეზე. არიან ასეთი ადამიანები და არიან ასეთი მოღვაწეები. ისინი ჩვენშიაც არიან, ბოლშევიკებს შორის. თვითონ იცით, ამხანაგებო, რომ ყოველ ოჯახშია თითო მახინჯი (სიცილი, ტაში). ასეთ გამოურკვეველი ტიპის ადამიანებზე, იმ ადამიანებზე, რომლებიც უფრო გვაგონებენ პოლიტიკურ ობივატელებს, ვიდრე პოლიტიკურ მოღვაწეებს, ასეთ გამოურკვეველი, ჩამოუყალიბებელი ტიპის ადამიანებზე საკმაოდ მოსწრებულად სთქვა დიდმა რუსმა მწერალმა გოგოლმა: „გამოურკვეველი ადამიანებია, არც ეს არის არც ის, ვერას გაუგებ რა ხალხია, არც ბოგდანია ქალაქში და არც სელიფანია სოფელში“ (სიცილი, ტაში).

ასეთ გამოურკვეველ ადამიანებზე და მოღვაწეებზე აგრეთვე საკმაოდ მოსწრებულად ამბობს ჩვენი ხალხი: „არის რაღაც, — არც წყალია და არც ღვინო“ (საერთო სიცილი, ტაში), „არც ღვთისაა და არც ეშმაკისა“ (საერთო სიცილი, ტაში).

მე არ შემიძლია სრული დარწმუნებით ვთქვა, რომ დეპუტატობის კანდიდატთა შორის (მე, რა თქმა უნდა, დიდ ბოდიშს ვიხდი მათ წინაშე) და ჩვენს მოღვაწეებს შორის არ მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ყველაზე უფრო მოგვაგონებენ პოლიტიკურ ობივატელებს, რომლებიც თავისი ხასიათით, თავისი ფიზიონომიით მოგვაგონებენ ისეთი ტიპის ადამიანებს, რომლებზედაც ხალხი ამბობს: „არც ღვთისაა და არც ეშმაკისა“.

მე მინდა, ამხანაგებო, რომ თქვენ სისტემატურად ახდენდეთ გავლენას თქვენს დეპუტატებზე, რათა მათ ჩაგონებდეთ, რომ მუდამ თვალწინ ედგეთ დიდი ლენინის დიადი სახე და ყველაფერში ჰბაძავდნენ ლენინს (ტაში).

ამომრჩეველთა ფუნქციები არჩევნებით არ თავდება, ეს ფუნქციები გრძელდება ამა თუ იმ მოწვევის უზენაესი საბჭოს არსებობის მთელი პერიოდის მანძილზე. მე უკვე ვილაპარაკე იმ კანონზე, რომელიც უფლებას ანიჭებს ამომრჩევლებს ვადამდე გაიწვიონ უკან თავისი დეპუტატები, თუ ისინი უხვევენ სწორი გზიდან. მაშასადამე, ამომრჩეველთა მოვალეობა და უფლება მდგომარეობს იმაში, რომ მათ მუდამ კონტროლქვეშ იყოლიონ დეპუტატები და რომ ისინი ჩააგონებდნენ მათ — არავითარ შემთხვევაში არ დაეშვნენ პოლიტიკური ობივატელების დონემდე, რომ ისინი — ამომრჩევლები ჩააგონებდნენ თავის დეპუტატებს — იყვნენ ისეთნი, როგორიც იყო დიდი ლენინი (ტაში).

ასეთია, ამხანაგებო, ჩემი მეორე რჩევა თქვენდამი, დეპუტატობის კანდიდატის რჩევა თავის ამომრჩევლებისადმი. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის. ყველანი ფეხზე დგებიან და თვალს აპყრობენ მთავრობის ლოჟას, საითკენაც მიდის ამხანაგი სტალინი. გაისმის შეძახილები: „დიდ სტალინს, ვაშა!“, „ამხანაგ სტალინს, ვაშა!“, „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს, ვაშა!“, „გაუმარჯოს პირველ ლენინელს — კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს — ამხანაგ სტალინს! ვაშა!“).

○ ◇ ○




სრულიად-საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა ამომრჩეველს, ყველა, როგორც ერთი კაცი, გამოცხადდეს 1937 წლის 12 დეკემბერს საარჩევნო ყუთებთან კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების ასარჩევად.

**საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიმართვიდან**

## ამხანაგ სტალინის შეხვედრა ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან 11 დეკემბერს დიდ თეატრში

11 დეკემბერს დიდ თეატრში შესდგა ქ. მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა მრავალრიცხოვანი წინასაარჩევნო კრება.

კრება გადაიქცა ლენინურ-სტალინური პარტიისა და ხალხთა ბელადის დიდი სტალინისადმი საბჭოთა ხალხის უდიდესი ერთგულებისა და სიყვარულის თავისი აღტყინებით უმაღლესი დემონსტრაციად.

კრება გახსნა ქარხანა „მასტიაჟარტის“ მუშამ ამხანაგმა ბასოვმა. ის ლაპარაკობს მაღალ პატივზე — ხმა მისცენ მშრომელი კაცობრიობის უსაყვარლეს ბელადს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს.

დარბაზის ყოველი კუთხიდან გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს ხალხთა ბელადს ამხანაგ სტალინს!“, ამხანაგ სტალინს „ვაშა!“

საპატიო პრეზიდიუმში კრებამ მქუხარე ოვაციით აირჩია ამხანაგი სტალინი, ამხანაგები მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, კალინინი, ანდრეევი. მიქოიანი, ჩუბარი, კოსიორი, ჟდანოვი, ეჟოვი, ხრუშჩოვი, ტელმანი, დიმიტროვი, ხოზე დიასი. საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს ამხანაგი სტალინი.

ტრიბუნაზე ადის ლიხაჩოვის სახელობის ქარხნის ოსტატი ამხ. იუნკოვი.

— როდესაც საჭირო იყო კანდიდატთა დასახელება უზენაესი საბჭოს შემადგენლობაში, — ამბობს იგი, — პირველ კანდიდატად მთელმა ჩვენმა საბჭოთა ხალხმა დაასახელა ამხანაგი სტალინი. ამხანაგ სტალინისათვის ხმის მიცემა — ეს უდიდესი პატივია. ეს პატივი წილად ხვდა არა მარტო სტალინის ოლქის ამომრჩევლებს, არამედ მთელ წითელ დედაქალაქსაც. ამხანაგ სტალინის სახელთან დაკავშირებულია მუშათა კლასის ყველა გამარჯვებანი, ამიტომ მე ხმას მივცემ ამხანაგ სტალინს და მოვუწოდებ სტალინის ოლქის ყველა ამომრჩეველს ხმა მისცენ ჩვენი კონსტიტუციის დიად შემოქმედს ამხანაგ სტალინს.

დარბაზში ერთი წუთით ჩამოვარდება სიჩუმე. და ამ სიჩუმეში გარკვევით გაისმის თავმჯდომარის სიტყვები.

— სიტყვა ეძლევა ჩვენს კანდიდატს ამხანაგ სტალინს.

და აი სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები ხედავენ თავის საყვარელ კანდიდატს.

ამხანაგი სტალინი ადის ტრიბუნაზე.

ყველანი ფეხზე ამდგარი მიესალმებიან ამხანაგ სტალინს შეუკავებელი აღფრთოვანებული ოვაციით. ტაში ერთი წამითაც არ სწყდება. იგი სულ უფრო-და-უფრო ძლიერდება. ყოველი მხრიდან გაისმის აღფრთოვანებული, გულის სიღრმიდან ამოხეთქილი შეძახილები: „ვაშა სტალინს!“, „გაუმარჯოს სტალინს!“, „გაუმარჯოს მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის შემოქმედს ამხანაგ სტალინს!“.

7 საათსა და 50 წუთზე ამხანაგი სტალინი იწყებს თავის სიტყვას.

დაძაბული ყურადღებით ისმენს დარბაზი მის სიტყვას, რომელსაც არაერთგზის აწყვეტინებენ აღფრთოვანებული ოვაციებით.

# გაუმარჯოს კომუნისტებისა და უპარტიოების კავშირს საბჭოთა სახელმწიფოს უზენაესი ორგანოს არჩევნებში

## ზეიმი მზიურ ქვეყანაში

დღეს ვირჩევთ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატებს! დღეს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის უბედნიერესი ადამიანები, მივლენ რა, საარჩევნო ყუთებთან, თან მიიტანენ ლენინ-სტალინის პარტიისადმი უსაზღვრო სიყვარულს, დიდი ბელადისა და მასწავლებლის მთელი მსოფლიოს მშრომელთა იმედის — გენიალური სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულს. დღეს საბჭოთა ხალხი ხმას მისცემს ქვეყნის საამაყო შვილებს, კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

რატომ? რა საბუთით?

იმიტომ, რომ ბოლშევიკების ხელმძღვანელობით დავამხვეთ ჩვენ მჩაგვრელები და დავამყარეთ მუშათა კლასის დიქტატურა.

იმიტომ რომ ბოლშევიკების ხელმძღვანელობით გახდა ჩვენი ქვეყანა მძლავრი, მდიდარი, გახდა პირველხარისხოვანი ინდუსტრიისა და აყვავებული მსხვილი კოლექტიური მიწათმოქმედების ქვეყნად.

იმიტომ, რომ ბოლშევიკების ხელმძღვანელობით გახდა მუშათა და გლეხთა ცხოვრება ბედნიერი და საამური, ბოლშევიკების მეთაურობით მოისპო ექსპლოატაცია უმუშევრობა.

იმიტომ, რომ ბოლშევიკების მეთაურობით გახდა ქალი სრულუფლებიანი მოქალაქე.

იმიტომ, რომ ბოლშევიკების მეთაურობით დამყარდა საბჭოთა კავშირის ხალხთა ურყევი მეგობრობა.

იმიტომ, რომ ბოლშევიკების პარტია შეუდრეკლად ატარებს სამშვიდობო პოლიტიკას.

დაბოლოს, იმიტომ, რომ ბოლშევიკები შეუბრალებლად ანადგურებენ ხალხის ყველა მტერს ტროცკისტულ - ბუხარინულ ავაზაკებს.

საბჭოთა ხალხი, ჩვენი ინტელიგენცია ხმას აძლევს ბოლშევიკების პარტიას იმიტომ, რომ მას სურს გრძელდებოდეს თავისუფლებისა და ჰუმანიზმის დიდი კომუნისტური პოლიტიკა შემდეგშიც ისეთივე დაჟინებით და შეურყევლობით, როგორც დღემდე.

აი, რატომ ვაძლევთ ხმას ლენინ-სტალინის პარტიას, აი რატომ არის დღეს ჩვენი დღესასწაული.

**ამხანაგებო!**
**ყველანი არჩევნებზე!**
**გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას!**
**გაუმარჯოს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველ დეპუტატს—ამხანაგ სტალინს!**

## თბილისის მშრომელთა ორასათასიანი მიტინგის მისალმება ამხანაგ სტალინს

მოსკოვი

კრემლი—ამხანაგ სტალინს

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქის—ქალაქ თბილისის ამომრჩეველთა ორასათასიანი მიტინგი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების გრძნობით მხურვალე სალამს გიგზავნის თქვენ მშობლიურო და საყვარელო ამხანაგო სტალინ.

ქალაქ თბილისის მშრომელები ერთსულოვნად უჭერენ მხარს ხალხის ერთგული შვილების კანდიდატურებს, ლენინ-სტალინის პარტიის საქმის ერთგულ კანდიდატებს სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს დეპუტატობაზე, რომლებიც წამოყენებული არიან ქალაქ თბილისის საარჩევნო ოლქებში.

1937 წლის 12 დეკემბერს ქალაქ თბილისის მშრომელები ყველანი, როგორც ერთი კაცი, მივლენ საარჩევნო ყუთებთან ერთი აზრით, ერთი სურვილით—ხმა მისცენ ჩვენი აყვავებული სამშობლოს საუკეთესო ადამიანებს, იმათ, ვინც ბოლომდე ერთგულია სოციალიზმის საქმისა და თქვენი, ჩვენო მშობლიურო დიდო სტალინ.

მივდივართ რა საარჩევნო ყუთებთან 12 დეკემბერს, ჩვენ ყველას გვახსოვს და ვიცით. რომ ჩვენი კანდიდატები სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატობაზე —არიან ქალაქ თბილისის ყველა მშრომელის კანდიდატები, დასახელებული და წამოყენებული კენჭისყრელად ბოლშევიკური პარტიის მიერ უპარტიოებთან ერთად.

ჩვენ ვიცით, რომ 12 დეკემბერს, ჩვენ კანდიდატებისათვის ხმის მიცემით, ჩვენ ხმას მივცემთ ჩვენს ლენინ-სტალინის სახელოვან, მძლავრ, უძლეველ პარტიას, ხმასმოგცემთ თქვენ — დიდო ბელადო და მასწავლებელო.

გაუმარჯოს კომუნისტებისა და უპარტიოების კავშირს საბჭოთა სახელმწიფოს უზენაესი ორგანოს მომავალ არჩევნებში!

გაუმარჯოს და განმტკიცდეს ჩვენი მძლავრი სამშობლო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი!

გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა სოციალისტურ კონსტიტუციას და მის შემოქმედს მთელი მსოფლიოს ჩაგრულთა დიდ ბელადსა და მასწავლებელს, ჩვენს მშობლიურ დიდ სტალინს!

ქ. თბილისის ამომრჩეველთა მიტინგი.
1937 წ. 10 დეკემბერი.
ქ. თბილისი.

## ჩვენი კანდიდატები

ამომრჩევლებო!

ხმა მიეცით კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს:

**ამხანაგ ლავრენტი ბერიას,**
რომელიც კენჭს იყრის კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის — სტალინის საარჩევნო ოლქში.

**ამხ. ე. მაზანაშვილს,**
რომელიც კენჭს იყრის კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის — კიროვის საარჩევნო ოლქში.

**ამხ. შალვა დადიანს,**
რომელიც კენჭს იყრის კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის — სასოფლო საარჩევნო ოლქში.

★

ხმა მიეცით ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს:

**ამხ. ა. წიკლაურს,**
რომელიც კენჭს იყრის ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის — ლენინის საარჩევნო ოლქში.

**ამხ. დავით ჭიჭინაძეს,**
რომელიც კენჭს იყრის ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის — სტალინის საარჩევნო ოლქში.

**ამხ. მ. გვიშიანს,**
რომელიც კენჭს იყრის ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის — ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქში.

**ამხ. სერგო იშხანოვს**
რომელიც კენჭს იყრის ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის — საქალაქო საარჩევნო ოლქში.

**ამხ. პეტრე ვერშკოვს,**
რომელიც კენჭს იყრის ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის—26 კომისრის საარჩევნო ოლქში.

## თბილისის საბჭოთა მშრომელი ინტელიგენციის ორათასიანი წინასაარჩევნო კრების მიმართვა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს—ამხანაგ სტალინს

თქვენ, ამხანაგო სტალინ, ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს, ჩვენთვის ყველაზე უფრო ახლობელსა და მშობლიურ ადამიანს, ჩვენ, ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები, შეკრებილნი ქალაქ თბილისში წინასაარჩევნო კრებაზე, გიძღვნით მხურვალე სალამს და ჩვენი უსაზღვრო ერთგულების გრძნობებს.

**ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!**

1937 წლის 12 დეკემბერს ჩვენ ყველანი, როგორც ერთი კაცი საარჩევნო ყუთში ჩვენი ბიულეტენების ჩაგდებისას, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად. გამოვხატავთ ჩვენს სიყვარულსა და ერთგულებას ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი, სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა გენიალური სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორისადმი — მშობლიურ სტალინისადმი.

ჩვენი ერთსულოვანი ხმის მიცემა, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საუკეთესო ადამიანებისათვის, ლენინ-სტალინის საქმის ბოლომდე ერთგული ადამიანებისათვის, ყველა ქვეყნის მშრომელთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინისა და მისი სახელოვანი თანამებრძოლებისათვის, გამანადგურებელი ლახვარი იქნება ხალხის ყველა მტრებისათვის, სისხლიანი ფაშიზმისათვის, რომელიც ცდილობს მოაწყოს ომი მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს წინაალმდეგ.

დიდი და გრანდიოზულია სოციალიზმის გამარჯვებანი, მიღწეულნი ჩვენი სამშობლოს მიერ თქვენი, ამხანაგო სტალინ, ბრძნული ხელმძღვანელობით.

ეს გამარჯვებები, რომლებმაც უზრუნველჰყვეს საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა ბედნიერი, სასიხარულო ცხოვრება, დაგვირგვინებულია ეპოქის უდიდესი დოკუმენტით — ჩვენი სტალინური კონსტიტუციით.

იმავე აზრებით, იმავე გრძნობებით, რომლებითაც გამსჭვალული არიან მუშები, კოლმეურნეები, წითელარმიელები, ცხოვრობენ ჩვენი ბედნიერი სამშობლოს მეცნიერები, მწერლები, მხატვრები, ექიმები, ინჟინრები, მასწავლებლები. ჩვენი საბჭოთა ინტელიგენცია, მუშებისა და გლეხების ხორცი-ხორცთაგანი და სისხლი-სისხლთაგანი, გარშემოსილია პარტიისა და მთავრობის ყურადღებითა და მზრუნველობით, მთელი საბჭოთა ხალხის სიყვარულით.

საბჭოთა ქვეყანაში — სიხარულისა და ბედნიერების ქვეყანაში, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების აყვავების ქვეყანაში — საზღვარი არა აქვს ადამიანის შემოქმედებითს შესაძლებლობას. არ არის მეცნიერებისა და კულტურის ისეთი დარგი. რომელიც ჩვენში არ მდიდრდებოდის სულ ახალ-ახალი აღმოჩენებით, არ არის ისეთი ხელოვნება, რომელიც საბჭოთა კავშირში ახალი კაშკაშა ფერებით არ აელვარებულიყოს.

ფაშიზმის ქვეყნებში კი, სადაც მილიონობით ადამიანები უმუშევრობისა, სიღატაკისა და შიმშილისათვის არიან განწირულნი, სწარმოებს [illegible] ლაშქრობა მეცნიერებისა და ხელოვნების წინააღმდეგ: საუკეთესო პროფესორებს, ექიმებს, ინჟინრებს, მასწავლებლებს ვერ გამოუყენებიათ თავისი შრომა, სასტიკად იდევნება ყოველგვარი თავისუფალი შემოქმედებითი აზრი.

ჩვენი ინტელიგენციის დიდი უმრავლესობა, ხალხის ეს შვილები ქალი თუ კაცი,—ფეხზე დააყენა და აღზარდა ლენინ-სტალინის დიადმა პარტიამ, საბჭოთა ხელისუფლებამ.

ახალი საბჭოთა ინტელიგენცია საბჭოთა საზოგადოების თანასწორუფლებიანი წევრია და მასთან ერთად შემოქმედებითი შრომისა და ენტუზიაზმის ერთიანი აღტყინებით აშენებს უკლასო სოციალისტურ საზოგადოებას.

საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო ადამიანები, მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის საუკეთესო ადამიანებთან ერთად, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთად, წამოყენებული არიან სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად. სსრ კავშირში უზენაესი საბჭოს დეპუტატობის იმ კანდიდატთა სიებში, რომლებიც წამოყენებული არიან პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ და რომელთაც ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი უჭერს მხარს, არის პროფესორების მუსხელიშვილისა და მაჭავარიანის სახელები. არტისტების, რეჟისორებისა და მწერლების—ხორავას, ჭიაურელის და დადიანის სახელები.

ხალხის მტრები — ფაშიზმის ტროცკისტ-ბუხარინელი დაქირავებული აგენტები ცდილობდნენ ჩვენი ინტელიგენციის ნაწილი ჩამოეცილებინათ ხალხისაგან, აემხედრებინათ იგი სოციალიზმის წინააღმდეგ. მაგრამ მხოლოდ უმნიშვნელო ერთეულები, ბურჟუაზიის ლაქიები, რომლებმაც დაჰკარგეს თავიანთი ადამიანური სახე, აღმოჩნდნენ მტრების ბანაკში. მთელი ქართველი ინტელიგენცია ქართველ ხალხთან ერთად ზიზღს უცხადებს და კრულვით იხსენიებს სოციალიზმის მტრებს და დაუზოგავად გაანადგურებს სამშობლოს საზიზღარ მოღალატეებსა და გამცემლებს, ფაშიზმის აგენტებს. ქართველი ინტელიგენცია პატიოსნად ემსახურება ხალხს, იგი ლენინ-სტალინის პარტიის საქმისა და ყველა ქვეყნის მშრომელთა დიდი ბელადის ამხანაგი სტალინის ერთგულია.

ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით, პარტიისა და ხალხის საყვარელი ბელადის დიდი სტალინის მეთაურობით, შინსახკომის სახელოვანმა ორგანოებმა, რომელთაც სტალინური სახკომი ამხანაგი ეჟოვი ხელმძღვანელობს, მთელი საბჭოთა ხალხის მხარდაჭერით, გაანადგურეს და მოსპეს ჩვენი სამშობლოს საზიზღარი მტრები. ტროცკისტ-ბუხარინელი ჯაშუშები და გამცემლები, მენშევიკები და ბურჟუაზიული. ნაციონალისტები. რომელნიც ხელს აღმართავდნენ ხალხის ბედნიერების წინააღმდეგ.

მოგმართავთ, რა თქვენ, მშობლიურო ამხანაგო სტალინ, გვინდა დაგარწმუნოთ, რომ ქართველი ინტელიგენცია კიდევ უფრო მჭიდროდ შემოკრბება თავისი მშობლიური პარტიის გარშემო, თქვენს გარშემო, ჩვენო მშობლიურო მასწავლებელო და ბელადო, ძლევამოსილი საბჭოთა ხალხის გარშემო და დაუზოგავად გაანადგურებს მტრების ბუდეებს, მოსპობს ყველას, ვინც გაბედავს პარტიისა და ხალხის, სოციალიზმის წინაალმდეგ წასვლას.

ჩვენ მოვუწოდებთ მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა მოწინავე ადამიანებს, ისტორიულ დღეს—1937 წლის 12 დეკემბერს — შეხვდნენ შრომითი გმირობის ახალი ნიმუშებით.

საბჭოთა ხალხი, მტკიცედ შემჭიდროებული ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, შეკავშირებული ურყევი შინაგანი მორალური და პოლიტიკური ერთიანობით, ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის ხელმძღვანელობით, წავა წინ კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ.

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან უძლეველ ლენინ-სტალინის პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენს ძლიერ თავისუფალ ხალხს!

გაუმარჯოს სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა და ჩაგრულთა საყვარელ ბელადს—დიდ სტალინს!

# ლენინ-სტალინის პარტიის ღირსეული შვილები




„მთელი საბჭოთა ინტელიგენცია, როგორც ერთი კაცი, განუხრელად განახორციელებს სრულიად-საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) სტალინური ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას და ერთსულოვნად მისცემს ხმას სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს, რომლებიც წამოყენებული არიან პარტიის მიერ უპარტიოებთან ერთად".

**ლ. ბერია**

## ყველა მშრომელთან ერთად

რას წარმოადგენდა მასწავლებელთა ცხოვრება წინად? მასწავლებელი მავშნელ წარსულში, ცარიზმის დროს უფლებაახდილი, და აბუჩადაგდებული იყო. ძლევამოსილმა ოქტომბერმა მასწავლებელი ისეთ სიმაღლეზე აიყვანა, როგორზედაც ის არ მდგარა და არც შეიძლება იდგეს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. ჩვენი ცხოვრება ახლა დაუსრულებელ სიხარულსა და სიამოვნებას წარმოადგენს. ყოველივე ეს კომუნისტური პარტიის სტალინური მზრუნველობის შედეგია.

12 დეკემბერს — ამ ისტორიულ დღეს ჩვენი ქვეყნის ბედნიერი მასწავლებლები ერთსულოვნად მივცემთ ხმას სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში დასახელებულ კანდიდატებს, რომლებიც თავდადებული არიან საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა კეთილდღეობისათვის. პირადად მე ხმას ვაძლევ ჩვენი სამშობლოს საუკეთესო შვილებს: ეთერი მაზანაშვილს და მიხეილ გვიშიანს.

**ქ. თუთბერიძე.**

**პირველი საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი**

## ისტორიული თარიღი

1937 წლის 12 დეკემბერი ჩვენი სოციალისტური ქვეყნის არსებობის მანძილზე ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი თარიღია. ამ დღეს პირველად ტარდება ბოლომდე დემოკრატიული არჩევნები.

პირადად მე ახალგაზრდული მოუთმენლობით ველოდი ამ სასიხარულო დღეს. ხმას ვაძლევ ჩვენი სამშობლოს სახელოვან შვილებს—ბოლშევიკებს, რომლებიც მტკიცედ იცავენ დიადი ოქტომბრის მონაპოვარსა და შეუბრალებლად ანადგურებენ მშრომელი ხალხის მტრებს.

**თამარ ნერგაძე.**

მე-8 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოწაფე.

## სიამით მიძგერს გული

სიამით მიძგერს გული. პირველად ჩემს სიცოცხლეში ვღებულობ მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ვღებულობ მონაწილეობას ისეთ დემოკრატიულ არჩევნებში, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს.

ვის უნდა მივცე ხმა? განა ცხადი არ არის, რომ ხმა უნდა მივცე კომუნიზმისათვის მებრძოლ ადამიანებს, რომლებმაც საქმით დაამტკიცეს ლენინ-სტალინის პარტიისადმი თავდადება და სიყვარული, შექმნეს ბედნიერი ცხოვრება.

ამ ისტორიულ დღესთან დაკავშირებით პირობას ვიძლევი, რომ ფრიადზე დავამთავრო საშუალო სასწავლებელი.

**ი. ელისაბედაშვილი.**

მე-18 სკოლის მეათე კლასის მოსწავლე.

---

## ჩემს მშობლებს

დღეს საბჭოთა მიწაწყალი სიხარულისა და აღფრთოვანების სხივებითაა მოქარგული. საბჭოთა კავშირის მშრომელები უზენაეს საბჭოში ირჩევენ ისეთ ადამიანებს, რომლებმაც დაიმსახურეს ხალხის ნდობა და სიყვარული.

მე მოვუწოდებ ჩემს მშობლებს ხმა მისცენ კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს, რომლებიც ჩვენს ცხოვრებას კიდევ უფრო ლამაზს და სამურს გახდიან.

**თ. იოსელიანი.**

**მე-15 სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე**

## ვის მინდა ხმა მივცე

12 დეკემბერი ჩემს ცხოვრებაში წარუშლელ კვალს დასტოვებს. ამ დღეს მე მონაწილეობა უნდა მივიღო სოციალიზმის ქვეყნის უზენაესი საბჭოს არჩევნებში.

ვის მინდა მე ხმა მივცე? იმას, ვინც შეგვიქმნა საამური და ბედნიერი ცხოვრება, იმას, ვინც შეგვიქმნა შესანიშნავი პირობები განათლების მიღებისათვის — დიდ ბელადს **სტალინს.**

ვის მინდა მე ხმა მივცე? იმას, ვინც საქართველო ააყვავა და მოწინავეთა რიგებში ჩააყენა. იმას, ვინც ჩემი ქვეყანა გადააქცია აყვავებულ ბაღნარად, — მე მინდა ჩემი ხმა მივცე ბავშვების დიდ მეგობარს ამხანაგ ლავრენტი ბერიას.

მაგრამ არც დიდი სტალინი, არც ლავრენტი ბერია ჩვენს საარჩევნო ოლქში — კიროვის საარჩევნო ოლქში არ იყრიან კენჭს, ვნანობ, რომ ეს ასეა. სამაგიეროდ მე ხმას მივცემ ლენინ-სტალინის დიად და უძლეველ პარტიის მიერ გამოზრდილ, სამშობლოს საამაყო შვილებს ამხანაგებს სერგო იმხანოვს და ეთერი მაზანაშვილს.

**მარგარიტა ჯულელი.**

**მე-28 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოწაფე.**

## ქალი—თანასწორუფლებიანი მოქალაქე

განსაკუთრებით დასაფასებელია დღევანდელი დღე ჩვენთვის, ქალებისათვის, რომლებსაც სტალინურმა კონსტიტუციამ მამაკაცებთან ერთად მოგვანიჭა თანასწორუფლებიანობა. ვართ ამომრჩევლები და გვყავს ამორჩევლებიც. ასეთი უფლება ქალს აქვს მხოლოდ საბჭოთა კავშირში, სადაც ქალი შეიძლება არჩეულ იქნეს სახელმწიფოს მმართველ ორგანოებში.

ვინ მოგვანიჭა ჩვენ ეს ბედნიერება? რა თქმა უნდა კომუნისტურმა პარტიამ, დიდმა ბელადმა ამხანაგმა **სტალინმა.**

ამისათვის ვუჭერთ მხარს ბოლშევიკების პარტიას, ლენინ-სტალინის საქმის ნაცად ორგანიზატორებს და ხელმძღვანელებს.

მე ვირჩევ ჩვენს რაიონში საბჭოთა დეპუტატობის კანდიდატებად წამოყენებულ ამხ. ამხ. მაზანაშვილს და გვიშიანს. რომლებსაც შესწევთ უნარი ლენინ-სტალინის დროშის ქვეშ დარაზმონ მასები შემდგომი გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

ჩვენი რაიონის ყველა ამომრჩეველს მოვუწოდებთ მისცეთ ხმა მხოლოდ ხსენებულ კანდიდატებს.

**თ. ხელაშვილი.**

**თბილისის მე-18 სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.**

## ნდობა, ყურადღება, ამოცანა

მე ვარ თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის მე-36 უბნის საარჩევნო კომისიის მდივანი. ამ ოლქში კენჭს იყრის სტალინის საუკეთესო მოწაფე ამხანაგი ლავრენტი ბერია. დიდათ მახარებს ეს მე.

ჩემდამი ასეთი ნდობისა და ყურადღების გამოჩინა მავალებს კიდევ უფრო გავაუმჯობესო სწავლების ხარისხი და დაუღალავად ვიბრძოლო ორწლიანობის სრულიად ლიკვიდაციისათვის, ახალი თაობის კომუნისტური აღზრდისათვის.

**გ. ჩეჩელაშვილი.**

## უსაზღვრო ბედნიერება

სიხარულით ველოდით ამ დღეს. მიხარია, მოუთმენლობა მიპყრობს! მე წილად მხვდა ბედნიერება. ხმა მივცე სტალინის ერთგულ მოწაფეს, ორდენოსან საქართველოს გამარჯვებათა ორგანიზატორს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას.

ამხანაგმა ლ. ბერიამ თბილისის სტალინის სახელობის ოლქში ამომრჩევლებს თანხმობა მოგვცა, კენჭი ეყაროს ჩვენს ოლქში, ჩვენ ამ ნდობას გავამართლებთ. უზენაეს საბჭოში ერთხმად ავირჩევთ საქართველოს მშრომელთა ამ საამაყო დეპუტატს.

მე ხმას ვაძლევ ამხანაგ ბერიას!

**გალინა რუხაძე**

მე-24 საშუალო სკოლის მასწავლებელი.

## როგორ ვემზადებოდით

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დღის — 12 დეკემბრის ღირსეულად მომზადებაში თბილისის მე-28 საშუალო სკოლის ალკკ ორგანიზაციამ თავისი წვლილი შეიტანა. სკოლაში თავიდანვე ჩამოყალიბებული იქნა საარჩევნო კანონის შემსწავლელი 12 წრე. სადაც წარმატებით მიმდინარეობდა მეცადინეობა. იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც სრულწლოვანები არიან და არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ, ცალკე ჩამოყალიბდა წრე. საარჩევნო დებულების შესწავლა ყველა წრეში წარმატებით დამთავრდა.

ამითაც არ დავკმაყოფილდით, ჩამოვაყალიბეთ მოწაფეთა მშობლებს შორის დებულების შემსწავლელი წრეები, რომელთა მეცადინეობა აგრეთვე დიდათ ნაყოფიერი იყო.

სკოლის კომკავშირის ორგანიზაციის ინიციატივით ყოველ ექვსდღიურში ერთჯერ გამოდიოდა კედლის გაზეთი, სადაც ირკვეოდა უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების საკითხები, მე-20 საარჩევნო უბანი ჩვენი სკოლის შენობაში იმყოფება. ის ჩვენ მოვრთეთ, და სანიმუშოდ მოვაწყვეთ. საქ. კ. პ. (ბ) კიროვის რაიკომის დადგენილებით სკოლიდან უბანში აგიტატორებად მიემაგრა 4 კაცი: დ. შენგელია, დ. წიქარიძე, ვ. ბაიაძე და მე. ჩვენი საავიტაციო საპროპაგანდო მუშაობა რაიონული კომიტეტის მიერ კარგად იქნა შეფასებული.

სააგიტაციო - საპროპაგანდო მუშაობა თვით სკოლაშიაც სათანადო სიმაღლეზე არის დაყენებული, ჩვენთან არ არის არც ერთი ამომრჩეველი, რომელმაც ფრიადზე არ იცოდეს საარჩევნო კანონი, კენჭისყრის წესი, კარგად არ იცნობდეს უზენაეს საბჭოში ასარჩევად წამოყენებულ ყველა კანდიდატს.

არჩევნების წინ კიდევ ჩავატარეთ ჩვენი კომკავშირის ორგანიზაციის ღია კრება. ამ კრებაზე ერთხელ კიდევ გადავავთვალიერეთ ჩვენი მზადყოფნა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის.

დღეს საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთან ერთად ჩვენი ამომრჩევლებიც ხმას მისცემენ პარტიისა და ქვეყნის საამაყო შვილებს, მათ ვინც დასახელებულია სსრ კავშირის დეპუტატობის კანდიდატებად.

**გ. ეგისკელაშვილი**

**თბილისის მე-28 საშუალო სკოლის ალკკ ორგანიზაციის კომიტეტის მდივანი**

---

## ვისწავლოთ ფრიადზე

მახარებს, რომ დღეს ჩემი მშობლები და ყველანი, ვისთვისაც კი ძვირფასია დიადი ოქტომბრის მონაპოვარი, ხმას მისცემენ ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის მებრძოლ ადამიანებს.

ეს ისტორიული თარიღი გვავალებს ჩვენ, მოსწავლეებს, გავაძლიეროთ ბრძოლა ფრიადოსნობისათვის, დავეუფლოთ მეცნიერების მწვერვალებს და გავამართლოთ იმედი საამური და ბედნიერი ცხოვრების შემოქმედის, მშობლიური სტალინისა, რომელმაც სთქვა: „ახალგაზრდობა ჩვენი მომავალია, ჩვენი იმედია, ამხანაგებო".

**გ. ლეჟავა**

თბილისის მე-25 სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე.

# აი რატომ ვაძლევთ ხმას ბოლშევიკების გმირულ პარტიას!



სურათზე — ზევიდან ქვევით

1) ლენრაიონის განათლების განყოფილების ინსტრუქტორი მე-28 სკოლის მასწავლებელი გალაქტიონ ჩიჩელაშვილი, 2) მე-28 საშუალო სკოლის მასწავლებელი ლოლა ლომთათიძე, 3) მე-28 სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე თინა ფოფხაძე, 4) მე-28 სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე ჟოზეფინა ჩიქობავა.

## დ ღ ე ს

დღეს ჩვენს სიხარულს არ აქვს საზღვარი...
ზეიმით ჩქარა
გამოდით გარეთ,
ამართეთ ყველამ დროშების ტევრი
და საკუთარი
ხმით გაიხარეთ!...

დღეს ყველას სტალინ, გვინდა სიმღერა
ან გულში სევდას
დღეს ვინღა ივლებს...
ხალისით წავალთ სასოფლო სახლთან,
ხმას მივსცემთ ქვეყნის
ღირსეულ შვილებს.

რა კარგი არის ცხოვრება ჩვენი
დიდი სტალინის ეპოქის გულში...
ყოველი წუთი მზიურ შუქს აფრქვევს
უბედნიერეს თაობის სულში...

ჩვენ დღეს შევსცქერით აღფრთოვანებით
ახალ ცხოვრების ლამაზ ყვავილებს,
მაღლა ავმართავთ სისხლისფერ დროშებს
და მივსცემთ ჩვენს ხმას ჩვენს დიად შვილებს!

აკ. ხეცურიანი.

## ყველა საქმეში ბრწყინავს იმედი

„ყველა საქმეში ბრწყინავს იმედი,
ყველგან სტალინის სახე ჭხატია,
ამას უამბობს კაცობრიობას
გამარჯვებული ხალხის ქარტია"...

დიახ, მართალია პოეტი ალიო მაშაშვილი. ყოველთვის მჭიდროდ არის დაკავშირებული თითოეული მშრომელის გულთან იმ დიდი გენიოსი ადამიანის სახე, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის მშრომელები მოვიდნენ დღევანდელ ბედნიერ დღემდე.

დღეს გამარჯვებული ქვეყნის მშრომელები ერთხელ კიდევ დაამტკიცებენ თავდადებისა და განუსაზღვრელი სიყვარულის გრძნობას კომუნისტურ პარტიისადმი, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი.

ფ. კოტეტიშვილი

მე-18 სკოლის მოსწავლე.

## ჩემი სიხარული

12 დეკემბერს ჩვენი ქვეყნის მშრომელი ხალხი მივა საარჩევნო ყუთებთან და მისცემს ხმას უკეთესებს უკეთესთა შორის.

მე წელს შემისრულდა 18 წელი. უდიდეს სიხარულს განვიცდი იმიტომ, რომ დიდი სტალინური კონსტიტუცია მაძლევს საარჩევნო უფლებას. უფრო მეტად ვხარობ იმის გამო, რომ მე საშუალება მეძლევა ხმა მივცე საქართველოს ბოლშევიკთა ნაცად ხელმძღვანელს — ამხანაგ ლ. ბერიას და კომკავშირის ძველ მუშაკს ამხანაგ პ. ვერშკოვს.

გრიგოლ კუხალეიშვილი

მე-28 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე.

## მაშ ვის თუ არა მათ

მე მხოლოდ 15 წლის ვარ, ამიტომ არა ვარ ამომრჩეველი. მიუხედავად ამისა, მე გულდასმით შევისწავლე საარჩევნო კანონი, შევასწავლე ის ჩემს მშობლებსაც — ახლა ისინი ყოველმხრივ მზად არიან არჩევნებისათვის.

ჩემი მშობლები კარგათ იცნობენ ჩვენი ოლქის კანდიდატებს ამხანაგ ე. მაზანაშვილს და ამხანაგ ს. იშხანოვს. ისინი პარტიის ერთგული შვილები არიან. ამიტომ ცხადია მათთვის ხმას არ დაიშურებენ. მე ამაში დარწმუნებული ვარ.

ჟოზეფინა ჩიქობავა

მე-28 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე.



სურათზე: — ფ. კოტეტიშვილი — მე-18 სკოლის ფრიადოსანი, გ. ეგისკელაშვილი მე-28 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოწაფე, სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, ე. ნადოლსკაია. მე-18 სკოლის ფრიადოსანი.



სურათზე—ზევიდან ქვევით

1) მე-109 საშუალო სკოლის მასწავლებლები: ვლადიმერ მახარაძე, 2) მე-24 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი გალინა რუხაძე, 3) მე-28 საშუალო სკოლის მოსწავლე ა. ლოლუა, 4) მე-28 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე გ. კუხალეიშვილი.

# გმადლობ დიდო სამშობლო

გონიერი სახის გამომეტყველება, მარღვმაგარი მხარბეჭი და თითქმის დასრულებული ადამიანის მანერები. ლაპარაკის დროს მორცხვად იღიმება, — თითქოს სურს დამალოს სიამაყისა და კმაყოფილების ელფერი,—სწავლაში ტოლი არ ჰყავს, ფრიადოსანია, წესრიგი, ყოფაქცევა—მისაბაძი.

ასეთია მე-18 სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე ელიკო ნადოლსკაია.

— დედა ძლივს მახსოვს, მამა სადღაც გადაიკარგა, დავრჩით ობლად ლია ცისქვეშ, ჩემი უფროსი და ლიდაც პატარა იყო. ორივეს შიმშილით სიკვდილი გველოდა ალბათ, ოქტომბრის ეპოქაში რომ არ დავბადებულიყავით. მაგრამ ჩვენ შეგვიფარა საბჭოთა საბავშვო სახლმა, რომელმაც ფართოდ გაგვიღო კარები, მოგვწმინდა ცრემლები, გვაგრძნობინა მშობლიური სითბო, აღგვზარდა, შეგვაჩვია კოლექტიურ შრომას და ჩაგვინერგა გულში სიყვარული კომუნიზმისადმი, კომუნისტურ პარტიისადმი, რომელიც თავს ევლება ბავშვებს, — ამბობს სახემომცინარი გოგონა.

✶

ელიკოს უფროსმა დამ ლიდამ წელს ფრიადზე დაამთავრა პედსასწავლებელი, ახლა ის უნივერსიტეტის სტუდენტია, უზრუნველყოფილია სტიპენდიით, ცხოვრობს სტუდენტთა ქალაქში. ელიკო კი ჯერ ისევ ვაკის საბავშვო სახლში განაგრძობს ცხოვრებას. მისი ტოლნი ახლა იქ აღარ არიან, მაგრამ ელიკო საბავშვო ბაღის პატარა აღსაზრდელებთანაც ნახულობს საერთო ენას:ართობს მათ, ეხმარება აღმზრდელებს. პატარების მოვლაში.

მარტო ამ მოვალეობის მოხდითაც არ კმაყოფილდება ელიკო: ის აქტიური კომკავშირელია, სკოლაში ხელმძღვანელობს პიონერრაზმს.

— მიყვარს, ძალიან მიყვარს პიონერები, — გატაცებით ამბობს ელიკო, ყოველნაირად ვცდილობ შევაყვარო მათ სწავლა ფრიადზე. რადგანაც კარგად მახსოვს საუკეთესო სტალინელის ამხანაგ ლ. ბერიას სიტყვები — რომ ფრიადზე სწავლა თითოეული მოსწავლის გმირობისა და სიმამაცის საქმეა.

ელიკო ნადოლსკაია წელს ფრიადებზე ამთავრებს საშუალო სკოლას. ის იმედიანი თვალით შეჰყურებს ბრწყინვალე მომავალს და პირობას იძლევა, რომ ის არასოდეს არ დაივიწყებს პარტიისა და მთავრობის მიერ მასზე გაწეულ ამაგს.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ამბობს ელიკო, შევალ უმაღლეს სასწავლებელში, დავეუფლები მეცნიერების მწვერვალებს, შევიარაღდები მარქსისტულ-ლენინურ თეორიით და სოციალიზმის მშენებლობის ფრონტზე მუდამ ვიმუშავებ კეთილსინდისიერად, ისე, როგორც შეჰფერის ენტუზიასტ კომკავშირელს.

✶

ელიკო აქტიურ მონაწილეობას იღებულობდა უზენაეს საბჭოს არჩევნებისათვის სამზადისში. მან ბევრს შეასწავლა საარჩევნო კანონი. ის ჯერ 18 წლის არ არის და ამას სწუხს.

— რა კარგი იქნებოდა ამბობს ის, მეც მიმეღო მონაწილეობა არჩევნებში, მეც მიმემატებია ჩემი ხმა ბოლშევიკური პარტიის, ერთგული შვილებისათვის, რომელთა მზრუნველობამ, ვინ იცის რამდენ ათასეულ უპატრონო ბავშვს შეაშრო ცრემლები, გაუწია მშობლიური მზრუნველობა, შეუქმნა წარმტაცი მზიანი დღეები.

გრ. გრძელიშვილი.

# საბჭოთა კავშირში

ი

✱ 9 დეკემბერს — 13 საათზე მოდრეიფე სადგური „ჩრდილოეთის პოლუსი“ იმყოფებოდა ჩრდილოეთის განედის 82 გრადუსსა და 22 წუთზე და დასავლეთის გრძედის 6 გრადუსსა და 58 წუთზე. სადგურის რაიონში მცირე ღრუბლიანობაა, ტემპერატურა — მინუს 27 გრადუსი.

✱ აგარის შაქრის ქარხანა ჩაბმულია სტახანოვურ რეკორდების სტალინური დეკადაში. 6 დეკემბერს ქარხანამ გადაამუშავა 10.628 ცენტნერი ჭარხალი — გეგმის 133 პროცენტი. ამავე დღეს გამოუშვა 1319 ცენტნერი შაქარი — გეგმა შესრულებულია 114 პროცენტით.

✱ 9 დეკემბერს ოდესაში მოვიდა ორი გემი, რომლებმაც ესპანეთიდან ჩამოიტანეს ახალი მოსავლის ფორთოხალი და ლიმონი. უკვე გაიგზავნა ეს ფორთოხალი და ლიმონი — 46 ვაგონი მოსკოვში, 28 ვაგონი კიევსა და ხარკოვში, უახლოეს დღეებში მოვა რამდენიმე გემიც, რომლებიც ჩამოიტანენ ფორთოხალსა და ლიმონს.

✱ „სოიუზკინოქრონიკამ“ გამოუშვა ხმოვანი დოკუმენტალური ფილმი „კიროვი“. ფილმში მოცემულია კინოდოკუმენტები, რომლებიც აგვიწერს მგზნებარე ტრიბუნის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

✱ მომავალ წელს ამბროლაურში დაიწყება ხმოვანი ბიბლიოთეკის მშენებლობა. მას ექნება 60—80 ათასი წიგნი და სამკითხველო დარბაზი სადაც ერთდროულად იმეცადინებს 40 მკითხველი. მშენებლობა დასრულდება 1939 წელს და დაჯდება 200.000 მანეთი. პროექტის ავტორია არქიტექტორი ქორქაშვილი.

—ი—

# ჩვენი სიგნალის შემდეგ

●

## „რაღას უცდიან“

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის ა.-წ. 12 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებული იყო მამხილებელი შენიშვნა. წერილის ავტორი ამხ. შ. როჭიკაშვილი წერდა, რომ „საგარეჯოს პედსასწავლებლის მესამე კურსზე ჯგუფში ერთი გაკვეთილი დათმობილი აქვს სასკოლო ჰიგიენას, მაგრამ ამ საგნის მასწავლებელი ჯერაც არ ჰყავს“-ო.

საგარეჯოს რაიონის განათლების განყოფილება გვაცნობებს, რომ „პედსასწავლებელს უკვე ჰყავს ჰიგიენის მასწავლებელი ექიმი გიორგობიანი“.

## „ასტრონომიის სწავლების შესახებ“

„კომუნისტური განათლების“ ა.-წ. 18 ნოემბრის № 107-ში მოთავსებული იყო ამხ. ბ. გვახარიას წერილი: „ასტრონომიის სწავლების შესახებ“. ავტორი წერდა: მიუხედავად იმისა, რომ ასტრონომია მიმდინარე წელს საშუალო სკოლის სასწავლო გეგმაში შეტანილია ცალკე საგნად, განსახკომს ჯერაც არ მოუცია ამ საგნის პროგრამა, არ მითითებია სახელმძღვანელო და სხვ.

განსახკომის საშუალო სკოლების სამმართველო გვაცნობებს, რომ „ასტრონომიის პროგრამები უკვე დამზადებულია, დაიბეჭდება ბიულეტენის უახლოეს ნომერში და დაეგზავნება სკოლებს. დასმულია აგრეთვე საკითხი სახელმძღვანელოს ახალი გამოცემის შესახებ“.

ᲝᲪ



მე-25 სკოლის მე-X კლასის მოწაფე გ. ლეჟავა.



თბილისის სკოლების საუკეთესო ფრიადოსნები სისტემატურად ეხმარებიან აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებს.
სურათზე: რკინიგზის მე-5 სკოლის ფრიადოსნები: ი. ფლეერი, შ. ქვლივიძე, უ. ტანტიკოვა, მ. ჯიბლაძე და ო. წულუკიძე
ფოტო—ბუდეშტსკისა (საქ. „სოიუზფოტოს“ განყ.)

# მოაწყვეთ ნაძვის ხე

## ყველა საბავშვო სახლის გამგეს და ახალშენის დირექტორს

მოუწყვეთ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ბედნიერ ბავშვებს საახალწლო საბჭოთა ნაძვის ხე. გააცანით ბავშვებს ჩვენი დიადი საბჭოთა ქვეყნის უმაღლესი მიღწევები, რომლებიც მოპოვებულია სსრკ მშრომელი ხალხის მიერ ლენინ-სტალინის დიადი პარტიისა და ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის ხელმძღვანელობით. გააცანით ბავშვებს კომუნისტური პარტიის და დიდი სტალინის ბრძოლა მშრომელი ხალხის ყველა ჯურის მტრების წინააღმდეგ; გააცანით ბავშვებს მთელი მსოფლიოს მშრომელთა მილიონების გმირული ბრძოლა იმპერიალიზმის, სისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ.

ნაძვის ხესთან მოაწყვეთ ლექსების კითხვა, ბავშთა კოლექტიური მხატვრული დეკლამაცია, სიმღერა, ცეკვა, დაკვრა მუსიკალურ ინსტრუმენტებზე. მოაწყვეთ შეჯიბრება ნაძვის ხისადმი მიძღვნილ საუკეთესო ლექსზე და მოთხრობაზე, გამოუშვით სპეციალური კედლის გაზეთი, მორთეთ საბავშვო სახლი ყვავილებით, გირლიანდებით, ლოზუნგებით, პლაკატებით, ფრიადოსან ბავშვები შეიტანეთ წითელ წიგნში. გამართეთ მხატვრული თვითშემოქმედებითი დილა - საღამოები. განამტკიცეთ ანტირელიგიური და ინტერნაციონალური მუშაობა. ნაძვის ხესთან მოიწვიეთ ძველი ბოლშევიკები, სამოქალაქო ომის გმირები, მუშები—სტახანოველები, კოლმეურნენი, კომკავშირლები, წითელარმიელები, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკნი. დააჯილდოვეთ ფრიადოსანი ბავშვები, მოაწყვეთ გასეირნება-ექსკურსიები ქარხნების, ფაბრიკების კოლმეურნეობების, სამანქანო - სატრაქტორო სადგურების, ელექტროსადგურების, სასწავლებლების, თეატრების, მუზეუმების, კულტურის სახლებისა და საკოლმეურნეო კლუბების დასათვალიერებლად, მათი წარმატებების გასაცნობად. მოაწყვეთ საუკეთესო კინოფილმების ჩვენება. შეჯიბრება შახმატსა, შაშსა, ფრენბურთსა და კალათბურთში.

საბავშვო სახლში საახალწლო საბჭოთა ნაძვის ხის ჩატარება გადაიღეთ ფოტოსურათებად და მოაწყვეთ საბჭოთა ნაძვის ხისადმი მიძღვნილი კუთხე.

დროულად შეუდექით საბჭოთა ნაძვის ხის მოქარგვისათვის საჭირო სათამაშოთა შეძენას.

საახალწლო საბჭოთა ნაძვის ხის ჩატარების შედეგების შესახებ გვაცნობეთ წერილობით.

**საქართველოს განათლების სახალხო კომისარი ერ. ბურჭულაძე.**

**საბავშვო სახლების და სპეციალური სკოლათა სამმართველოს უფროსი: მეგრელიძე.**

# საზღვარგარეთ

## მოკლე ცნობები

● სასამართლომ ქ. ბარანოვიჩში (პოლონეთში) 22 კაცს კომუნისტური მუშაობაში ბრალდების გამო მიუსაჯა დაპატიმრება სხვადასხვა ვადით — 7 წლამდე.

● მაგდებურგში (გერმანია) სასამართლომ გაარჩია იმ პირთა საქმე, რომლებსაც ბრალი ედებოდათ „არსებულ წყობილების დამხობის მომზადებაში“ და 10 კაცს მიუსაჯა 4 წლამდე საკატორღო მუშაობა, 12 კაცს კი — დაპატიმრება.

● საფრანგეთში ფაშისტურ შეთქმულების აღმოჩენასთან დაკავშირებით გრძელდება გაძიება და მონაწილეთა დაპატიმრება. საფრანგეთის სხვადასხვა პუნქტებში კვლავ პოულობენ იარაღის ახალ-ახალ პარტიებს. საზოგადოებრივი აზრი გაკვირვებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ აქამდე დაპატიმრებული არ არიან შეთქმულების სულისჩამდგმელნი.

● 7 დეკემბერს საფრანგეთში მთავრობის სხდომაზე გამოვიდა პრემიერი შოტანი მოხსენებით იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელსაც იგი აწარმოებდა საგარეო საქმეთა მინისტრ დელბოსთან ერთად ლონდონში. მან აღნიშნა, რომ ინგლის-საფრანგეთის შეხედულება ყველა საკითხში ეთანასწორებიან ერთმანეთსაო.

● ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა დაარწმუნეს ბელგიის და პორტუგალიის მთავრობები, რომ მათ არა აქვთ არავითარი განზრახვა „მოაგვარონ კოლონიების საკითხი ჰიტლერთან ბელგიის კონგოს ან პორტუგალიის ანგოლის ხარჯზე“.

● ბელგიის დეპუტატთა პალატამ 120 ხმით 92-ის წინააღმდეგ მოიწონა ჟანსონის ახალი მთავრობის დეკლარაცია.

● რუმინეთის სამხედრო სასამართლომ ტიმოშიარში 18 რკინიგზელ მუშას, რომლებსაც ბრალდებოდათ „კრების მოწყობა მუშების პროფესიულ საჭიროებათა განსახილველად“ — მიუსაჯა დაპატიმრება.

● სამხრეთ სლავიის პრემიერი სტოადინოვიჩი ჩავიდა რომში და მოლაპარაკება ჰქონდა იტალიის მმართველ წრეებთან, რაც ეხება სამ ძირითად პრობლემას: მთელ ევროპაში შინაგან წესრიგის შენარჩუნებას, ორივე ქვეყნის თანამშრომლობას ცენტრალურ ევროპასა და ბალკანეთში და პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განვითარებას უშუალოდ იტალიასა და სამხრეთ-სლავიას შორის

● ესპანელი მეამბოხენი გაძლიერებით ემზადებიან სამხრეთ ფრონტზე შეტევისათვის. აქ თავს უყრიან უმთავრესად მაროკოელებს და იტალიის ჯარებს.

● მეამბოხეთა სამხედრო-საზღვაო ესკადრა გაემართა ხმელთაშუა ზღვისაკენ, რათა რესპუბლიკურ ესპანეთის სანაპირონი დანაღმოს.

● მეამბოხეთა მფლობელობაში მყოფ ტერიტორიიდან რესპუბლიკურ ესპანეთში გამოქცეულნი იუწყებიან, რომ მეამბოხეთა ზურგში არ სცხრება მუშათა და გლეხთა გამოსვლები, რომელთაც სასტიკად უსწორდებიან.

● მეამბოხეებმა ტერუელის ფრონტზე დახვრიტეს 170 ჯარისკაცი, რომელთაც ბრალი ედებოდათ „უწესოების“ მოწყობაში.

● ფრანკოსთან მყოფ გერმანიის ჯარებში იზრდება, უკმაყოფილება, რის შედეგადაც ამ უკანასკნელ ხანს შემჩნეულია ჯარისკაცებისა და ოფიცრების დეზერტირობა.

● მადრიდში ჩავიდა ინგლისის ლეიბორისტთა საპარლამენტო ფრაქციის დელეგაცია ფრაქციის ლიდერის — ეტლის მეთაურობით. დელეგაციამ დაათვალიერა ცენტრალური ფრონტის ის უბნები, რომლებიც ქალაქს ეკვრიან.

● ბარსელონაში ჩავიდა ბასკთა მთავრობის მეთაური აგირე, რომელმაც მისცა ინტერვიუ პრესის წარმომადგენლებს, სადაც განაცხადა: „ჩვენ ყველა საკითხში ვმოქმედობთ რესპუბლიკის მთავრობასთან ერთად. ბასკთა ჯარები გადმოყვანილია რესპუბლიკურ ესპანეთში. ტერორისა და ძალმომრეობის ცხვლელობის რეჟიმი, რაც ფაშისტმა მეამბოხეებმა გაამეფეს ბასკონიაში, მხოლოდ აძლიერებს ჩვენს წადილს, რომ ბოლომდე ვიბრძოლოთ“-ო.

● აღმოსავლეთის (არაგონიის) არმიის კომისრად ბილბაოს ნაცვლად დაინიშნა ბლანკო.

● ესპანეთის ფრონტებზე მეამბოხეთა ყოველ შეტევას რესპუბლიკელთა ჯარები ყველგან უკუაქცევენ. რესპუბლიკის ჯარებმა აღმოსავლეთის და ცენტრალურ ფრონტებზე აქა-იქ წინ წაიწიეს და უფრო გაამაგრეს თავისი პოზიციები.

● თავდაცვის სესხი, რომელიც ჩინეთის მთავრობამ 500 მილიონი ჩინური დოლარის რაოდენობით გამოუშვა, მთლიანად რეალიზებულია.

● პეტუნში (შანხაის რაიონი) იაპონელებმა შექმნეს ახალი მთავრობა სახელწოდებით: „დიდი შანხაის ავტონომიური დამოუკიდებელი მთავრობა“, რომლის სათავეშიც დგას იაპონიაში აღზრდილი ფუძიანის პროვინციელი ჩინელი — სუსია-ვანი.

● ჩინელ პარტიზანთა 5-ათასიანმა რაზმმა იაპონელებს წაართვა ქ. სიცზინი (შახაი — ხანჯოუს რკინის გზაზე).

● იაპონელთა ავანგარდები მიუახლოვდნენ ნანკინს. ჩინელთა ჯარები ნანკინის რაიონში კარგ მორალურ მდგომარეობაში არიან. თავდაცვითი სამუშაოები ნანკინის რაიონში მოწმობენ ჩინელთა იმ განზრახვას, რომ მათ გადაწყვეტილი აქვთ გაუწიონ დამპყრობლებს გადამწყვეტი წინააღმდეგობა ჯერ კიდევ ქალაქის კედლებს გარეთ.

# მასწავლებლის ბიბლიოთეკა

ი

### მ. ი. კალინინი—„რა მისცა საბჭოთა ხელისუფლებამ მშრომელებს“

საქპარტგამომცემლობამ გამოუშვა და წიგნის ყველა მაღაზიასა და კიოსკში იყიდება მ. ი. კალინინის ბროშურა: „რა მისცა საბჭოთა ხელისუფლებამ მშრომელებს?“.

ბროშურაში განხილულია შემდეგი საკითხები: 1) „რას მიაღწიეს მუშებმა საბჭოთა კავშირში“, 2) „კოლმეურნე გლეხობა საბჭოთა ხელისუფლების საიმედო დასაყრდენია“, 3) „საბჭოთა ინტელიგენცია“ 4) „სსრ კავშირი ხალხთა მეგობრობის ქვეყანაა“, 5) „ხალხური შემოქმედების აღმავლობა“. 6) „სსრ კავშირი მძლავრი სახელმწიფოა“. 7) „კომუნისტური პარტია მშრომელთა ავანგარდია“.

ბროშურაში მოკლედ და გასაგები ენით გარკვეულია, თუ როგორ მიაღწიეს ჩვენს ქვეყანაში მუშებმა და გლეხებმა გიგანტური და ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებებს, როგორ მიაღწიეს მსოფლიოში პირველად განხორციელებულ სოციალიზმს.

ამხანაგ მ. ი. კალინინის ეს ბროშურა ყველა მასწავლებელმა უნდა შეიძინოს. წიგნაკი ლამაზადაა გამოცემული და ღირს 65 კაპ.

### „დაზვერვა და კონტრდაზვერვა“

ეს ბროშურა წარმოადგენს ამერიკელი მწერლის რ. როუანის წიგნის „დაზვერვა და კონტრდაზვერვა“-ს შემოკლებულ თარგმანს ინგლისურიდან.

ავტორი ამ წიგნში მრავალ მაგალითით იძლევა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ორგანოთა მზაკვრული ხერხებისა და მეთოდების ანალიზს. წიგნში სხვა მრავალ საკითხთა შორის — გარკვეულია საკითხები: მსოფლიო ომი და დაზვერვა, დაზვერვის თანამედროვე სისტემა, მზვერავი და მისი საქმიანობა, კავშირგაბმულობა დაზვერვის დროს; კონტრდაზვერვა, როგორც ორგანიზებული მეთვალყურეობა მზვერავებზე, კონტრმზვერავთა როლი მსოფლიო ომის დროს; ცენზურა, როგორც კონტრდაზვერვის საშუალება: პროპაგანდა, როგორც საიდუმლო სამსახურის საშუალება და სხვ.

ეს წიგნი მკითხველს დიდად დაეხმარება—„გაეცნოს უცხოეთის მზვერავ ორგანოთა მავნებლურ-დივერსიულ და ჯაშუშური მუშაობის მიზნებსა და ამოცანებს, პრაქტიკასა და ტექნიკას“ (სტალინი).

წიგნი გამოცემულია საქპარტგამომცემლობის მიერ და ღირს 1 მან 20 კაპ.

—ი—

# საგანი უმასწავლებლოდ

სასწავლო წლის პირველ მეოთხედში მთელ რიგ სკოლებს არ ჰყავდათ ისტორიის მასწავლებლები. ასეთებია: თბილისის მე-36, 62, 63, 45, 94 და სხვა სკოლები. ამ სკოლებში დღესაც არ არიან ისტორიის მასწავლებლები.

რას უნდა მიეწეროს სკოლების დატოვება ისტორიის მასწავლებლების გარეშე, თუ არა განათლების კომისარიატის დაუდევრობას?! მეორე მეოთხედში მაინც არ უნდა დარჩეს არც ერთი სკოლა, სადაც არ იქნება ისტორიის მასწავლებლები.

**ვ. ვ.—ძე.**

✱



მე-109 სკოლის მე-IX კლასის მოწაფე ზ. ბოტოშვილი,

**სარედაქციო კოლეგია.**

მისამართი: თბილისი, ფურცელაძის ქ. № 3, გაზ. „კომუნისტური განათლების“ რედაქცია, ტელეფონები: პ.-მგ. რედაქტორის და პ.-მგ. მდივნის 3—67—47.

ალ. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული —16799